ხელშეკრულება № 75/11

ქ. თბილისი

9 ნოემბერი 2011წ.

ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“ (შემდგომში „დამკვეთი“) მისი თავმჯდომარის გიორგი შონვაძის სახით, ერთის მხრივ და შ.პ.ს „დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“ (შემდგომში „შემსრულებელი“) მისი დირექტორის გიორგი გოცირიძის სახით მეორეს მხრივ, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1. „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას „დამკვეთს“ მიაწოდოს პროგრამული უზრუნველყოფა – ArcGIS ArcView 10.0 Single Use, 2 (ორი) ცალი ლიცენზია (CPV38221000 – გეოგრაფიული ინფორმაციის სისტემები (GIS ან ექვივალენტი) შესყიდვა;
2. შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ს საკუთარი შემოსავლების ფარგლებში.

II. სამუშაოს შესრულების ვადები და ხელშეკულების საერთო ღირებულება

1. ხელშეკრულების საგანში აღნიშნული სამუშაოები იწყება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მთავრდება ერთ თვეში. ხელშეკრულების ვადები შეიძლება შეიცვალოს ორივე მხარის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 5541 (ხუთი ათას ხუთასორმოცდაერთი) ლარს.
3. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

III. ანგარიშსწორების პირობები

1. ფულადი გადარიცხვა „დამკვეთმა“ „შემსრულებლის“ ანგარიშზე უნდა განახორციელოს მომსახურების გაწევის შედეგად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არა უგვიანეს სამი საბანკო დღის განმავლობაში.
2. თუ „დამკვეთი“ დააგვიანებს ფულად გადარიცხვას „შემსრულებლის“

ანგარიშზე, დამკვეთი იხდის ჯარიმას 0.2 % ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე;

3. თუ „შემსრულებელი“ დააგვიანებს სამუშაოს ჩაბარებას ხელშეკრულებაში მოცემულ ვადებში, ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო თანხას აკლდება 0.2 %.

IV. მხარეების ვალდებულებები და უფლებები

1. „დამკვეთი“ ვალდებულია:

- შემსრულებელს მიაწოდოს სამუშაოს შესრულებისათვის ყველა საჭირო ინფორმაცია;
- დროულად მოახდინოს ფულადი გადარიცხვა „შემსრულებლის“ ანგარიშზე;

2. „შემსრულებელი“ ვალდებულია:

- დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულების საგანში აღნიშნული სამუშაოები და გადასცეს „დამკვეთს“.

3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების არშესრულების ან/და არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

V. ფორს-მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობიდან ხელშეკრულების პირობების ნაწილობრივი ან სრული შეუსრულებლობისას თუ ის გამოწვეულია ხანძრით, წყალდიდობით, მიწისძვრით, გაფიცვებით, მთავრობის ან ხელისუფლების მიერ აღმკვეთი ღონისძიებების შედეგად, თუ ყოველი ეს შემთხვევა უშუალოდ მოქმედებს არსებული ხელშეკრულების შესრულებაზე;
2. თუ ფორს-მაჟორის პირობები გაგრძელდება ერთი წლის ან მეტი ხნის განმავლობაში, მაშინ ორივე მხარეს ეძლევა უფლება გააუქმოს ხელშეკრულება მთლიანად ან ნაწილობრივ. ამ შემთხვევაში არცერთ მხარეს არ აქვს უფლება მოითხოვოს შესაძლო მატერიალური ზარალის ანაზღაურება.

VI. სხვა პირობები

1. ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ხელშეკრულებაზე ძალაშია, თუ ის შესრულებულია წერილობით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ;
2. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე მხარეს ხელშეკრულების შესრულების უფლება მეორე მხარის მიერ წერილობითი თანხმობის გარეშე;
3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად, ქართულ ენაზე. ორივე

ეგზემპლიარი იდენტურია და აქვს ერთნაირი იურიდიული ძალა. თითოეულ მხარეს გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულების თითო ეგზემპლიარი;

4. მხარეებს შორის ყველა სადავო საკითხი წყდება ურთიერთმოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით;
5. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეები დადგენილი წესით მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

VII. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

„დამკვეთის“ სახელით

ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო"
ქ. თბილისი, გულუას ქ. №6
ტელ: 995 32 2752352
ს/კ: 204911337
სახელმწიფო ხაზინა
სახაზინო კოდი: 220101222
ა/ა 200122900

_____

გიორგი შონვაძე
თავმჯდომარე

„შემსრულებელის“ სახელით

შ.პ.ს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“
ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზ. №27
ს/კ: 204920309
ს.ს. „თი ბი სი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE55TB0660000001746732 8

_____

გიორგი ჭანტურიძე
დირექტორი